საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარის საეპისკოპოსო

კარის საეპისკოპოსო, შუა საუკუნეების საეპისკოპოსო სამცხე-საათაბაგოში. ცნობები ამ საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ მწირია. XVI ს. დოკუმენტის, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხის საფუძველზე კ. ს-ს სამწყსოში შედიოდა მთელი ყარსი კოლისა და ოლთისის საზღვრამდე, ხოლო კარელი ეპისკოპოსი მეთერთმეტე ადგილზე სახელდება.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.